

1937წ


# ნიჟე

ფანდი 50კ

№10




СССР



თავდაცვის სახელმძღვანელო

თავდაცვის სახელმძღვანელო  
ფინანსური სახსნი



რომ განვამტკიცოთ საზღვრები ქვეყნის, —  
მივხცეთ სამშობლოს თავდაცვის სესხი

და ქვეყანაზე არნახულ ძალით  
განადგურდება ვინც თავს დაგვეხმობს.

მ. მ.

28/11 7 49  
1937



გ ზ კ ა ნ ნ მ ა რ ი თ



# „ფეხი“

პოლიკარბე ბეციაშვილი სიხარულით ცას ეწეოდა და ქუჩაში შეხვედრილ ნაცნობებს სულ ერთსა და იმავე ხასიათის დიალოგს უმართავდა.

- გაიგე?
- რა კაცო!
- იონა ვერმიცანელი ჩვენი რაიონის ქალაქიდან ში კაკალ თბილისში გადაუყვანიათ...
- ქარხნის დირექტორის მოადგილე?
- ჰო, მოადგილე —
- ისევ მოადგილეთ?
- არა, დირექტორად.
- მართალს ამბობ?... —
- მართალია... გავკეთდი კაცო.
- თუ აგრეა, მართლა გაკეთებულხარ: შენც გადაგიყვანს...
- ალბათ... ვნახოთ... — შეიფერა პოლიკარბემ.
- ნახვა რად გინდა, ყველა აგრე ამბობს, თითქოს უშენოდ ფეხს არ ადგამდეს და როგორ მიგატოვებს!

\* \*

— ჩვენი ქარხანა მაგის ღვიძლი შვილია. მაგან ააშენა, მაგან გამართა, მაგან ჩაუდგა სული და მაგის წყალობით არსებობს. ამიტომ ამხანაგებო, მე მოვიტხოვ ამ კრებაზე, რომ ჩვენს ქარხანას ამხ. იონა ვერმიცანელის სახელი დაერქვას — განაცხადა იონას თბილისში გადაბარგების წინ მისი გადაყვანის ამბის გაგების შემდეგ ქარხნის მუშათა კრებაზე პოლიკარბე ბეციაშვილმა.

მართალია ეს წინადადება კრების ხელმძღვანელთა მიერ იმ კრებაზე არ დასმულა, მაგრამ პოლიკარბეს ეს არსებითად არც აინტერესებდა; მისი მიზანი სხვა იყო, მისი სიმღერა „სხვა ვარსკვლავისკენ“ იყო მიმართული. იონა ვერმიცანაშვილის გული უამისოდაც იყო პოლიკარბეს მიერ მონადირებული, მაგრამ პოლიკარბემ ძცოდა, რომ „ქონით ფაფას არ გააფუჭებდა“.

იონამ რესპუბლიკის ცენტრალურ ქალაქში მფარველების დახმარებით უკვე ჩაიბარა ახალი ქარხანა და „საქმეს“ შეუდგა. რამდენიმე დღეში გადმოიყვანა ძველი სამსახურის ადგილიდან მისი ტყუპი ქვისლები: ბენო და ვახტანგი. იმათ მოყვენენ ფუტუნა და ფუსუნა, ფაციკო და ცაციკო, ანიკო და მანიკო, ვანიკო და ზალიკო, თინიკო, ნინიკო და სხვები.

იონამ არც კაპიტონი დაივიწყა და მალე ისიც თავისთან გაიწვია.

- ჩვენი კაცია... ყველაფერში გამოგადგება... გვეერთოვლებს.
- ეუბნებოდა იონა თავის ქვისლს და თანამოსამსახურე ვახტანგს — ადგილკომში უნდა გავიყვანოთ, კარგი ორგანიზატორია. — ამბობდა მუშათა კრებაზე ვახტანგი.
- კი მარა, რომ არავინ იცნობს?!.. — უპასუხეს მას.
- როგორ თუ არავინ, დირექტორი იცნობს, ახლობელი კაცია!
- ახალი კაცია. წარმოებისათვის უცხო... აქაურობას არ იცნობს არც მუშაკებს იცნობს — ამბობდენ მუშები.
- როგორ თუ უცხო, როგორ თუ არ ვიცნობ. რას ამბობთ, ვის არ ვიცნობ, ერთად ვართ გაზრდილი მე და დირექტორი. რამდენიმე წელს ერთად ვსწავლობდით, ერთად გვიცხოვრია. ერთ ლოგინშიც გვიძინებია. რას ქვია არ ვიცნობ... — ცხარობდა პოლიკარბე.

\* \*

რამდენიმე დღეში პოლიკარბე ბეციაშვილი ადგილკომის თავმჯდომარედ არჩეულად გააფორმეს. პოლიკარბე ყველაზე ადრე კვდლის ვახეთის „სუსხის“ გამოშვებას შეუდგა. მან თავისივე ხელით შეადგინა ვახეთის მაკეტი, რომელიც ასეთი შინაარსის იყო:

- ამხ. იონა ვერმიცანელი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
- ვინ არის ამხ. ვერმიცანელი?
- მოგონება ამხ. ვერმიცანელის რევოლუციური წარსულიდან, როდესაც მან გმირულად დაიჭირა ფეხმოტეხილი კურდღელი ორთაქალის ბალების მახლობლად ნადირობის დროს.
- ამხ. ვერმიცანელი ქარხნის კლუბის მუშაობის შესახებ.
- სტახანოველ მუშათა შეხვედრა ამხ. ვერმიცანელთან.
- ამხ. ვერმიცანელი წყალტუმბოში (ფოტო).
- ვერმიცანელი ავტოს საქვსთან (ფოტო).
- ვერმიცანელი თავის კაბინეტში (ფოტო).
- ვერმიცანელი მოწაფეობის დროს (ფოტო).
- ვერმიცანელის მშობლები (ფოტო).
- ვერმიცანელის მაგიდა (ფოტო).
- ჩემი შთაბეჭდილება ამხ. ვერმიცანელთან პირველად შეხვედრის დროს და სხვ.

ვახეთის შუა სვეტებს ამკობდა წითელ ჩარჩოში პოლიკარბეს მიერ იონასადმი მიძღვნილი ლექსი:



**306 არ იცნობს**

ვინც არ იცნობს ვერმიცანელს  
ხაბრძინის კლიტეს, ჭკუის კარავს,  
ვინც არ იცნობს ჩვენს იონას,  
შმას ძალზე მიუჭარავს.

ჩვენს ქარხანას მეთაურობს  
იხე ბრძნულად, იხე კარგად,

გაზეთს ასეთი შინაარსის ქრონიკაც ამკობდა:

**შ ა მ თ ხ ვ ა ვ ა მ ი :**

გუშინ ამხ. ვერმიცანელს 26 კომ. სახ. ბაღში გასეირნების დროს, თავზე დაეცა მუხის გამზმარი ფოთოლი. საბედნიეროთ ამხ. ვერმიცანელს არაფერი დასაფიქრებია და თავს ჯანმრთელად გრძნობს.

\* \* \*

რამდენიმე თვის შემდეგ ვერმიცანელი კიდევ უფრო დააწინაურეს და ქარხნის დირექტორობიდან ტრესტის დირექტორად გადაიყვანეს.

იონას თანამშრომლებმა პოლიკარზე ბეციაშვილის ხელმძღვანელობით გამოსათხოვარი ვანში გაუმართეს და დიდის ამბით გააცილეს.

თუმცა იმ ტრესტს, სადაც იონა გადაიყვანეს, თვით ქარხანასთან სადაც პოლიკარზე ადგილკომის თავრედ დარჩა, არავითარი კავშირი არ ქონდა, მაგრამ ბეციაშვილი და ვერმიცანელის დანარჩენი „კადრები“ მაინც ვერ ელეოდნენ იონას მფარველობას, — მასთან ხშირად იყვნენ, მას ეკითხებოდნენ და მისგან რჩევა-დარიგებას ლეზულობდნენ.

ორი თვის შემდეგ პოლიკარებს მეთაურობით ქარხნის მუშაკთა ჯგუფის სახელით იონა ვერმიცანელს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს:

რომ გულები ჩვენი მისგან  
სისხარულით მოიქარგა.

მოიქარგა ჩვენი გრძნობა  
სისხარულის ნაზი შვებით,  
ილდერძელის დირექტორმა  
თავის კოკოზ უღვაშებით.

3. 2 — ლი.

შევასრულეთ რა წარმატებით პირველი კვარტალის სისწარმოო გეგმა, ჩვენი ქარხნის მუშაკთა ჯგუფი მოგესალმებათ თქვენ, როგორც ჩვენ მიერ მოპოებულ წარმატების სულის ჩამდგმელს და ვისურვებთ წარმატებებს თქვენს მიერ დასახულ მიზნებში.

— რა შუაშია ვერმიცანელი, რა კავშირი აქვს მას ჩვენს ქარხანასთან? — ამბობდნენ ბეციაშვილის მოქმედებით გაკვირვებულნი მუშები.

ბეციაშვილი კი თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა.

— ჩვენს ქარხანას ვერმიცანელის სახელი უნდა დაერქვას. ხვალვე დავაყენოთ საკითხი.

— დავაყენოთ, დაეთანხმნენ მისიანები.

შეორე დღეს მართლა აპირებდა ვერმიცანელი განზრახულის სისრულეში მოყვანას, მაგრამ სამსახურში გამოცხადებისთანავე სექცეასავით მიაყარეს:

— ჩიტის ამბავი გაიგე?

— რა ჩიტის, მოკლილი ხომ არა ხარ?

— მახეში გაბმული ჩიტის ამბავი.

— ვიზე ლაპარაკობთ? დაწეული ხმით იკითხა ბეციაშვილმა.

— ვერმიცანელი გაება, ფარული ტროცკისტი ყოფილა, ხალხის მტერი, გესტაპოს აგენტი.

ბეციაშვილი დაიბნა.

— რას ამბობ, ნუთუ მართალია, ძლივს წაილულულა იონამ და ოთახიდან აივანზე ვავიდა.


— კარგად არ ვიცნობდი, რა ვიცოდი თუ მტრის აგენტი იქნებოდა?! ალბათ მიტომ იყო, რომ მდევნიდა. ადგილკომის სკამს არ მაშორებდა, მაგრამ ჩემი ფხიზელი თვალი და გულის იღვამლი ხმა მუდამ მომიწოდებდა მის მზგავს ფარულ მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად. — მოიქვენლურად განაცხადა პროფორგანიზაციის საგადარჩევო კრებაზე პოლიკარზე ბეციაშვილმა.

მელუა.

**პ დ ი ა ს დ ა რ ი**

ნახ. ოთაროვის

ესპანეთში გახშირდა მეამბოხეთა ჯარისკაცების რესპუბლიკელების მხარეზე გადასვლა.



— კარგი ხლართებია. რესპუბლიკელებს ახლა მაინც გაუჭირდებათ ჩვენს სანგრებში შემოსვლა.  
— მაგ მეორეხარისხოვანი საკითხია: მთავარი ისაა, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა ველარ შეძლონ რესპუბლიკელების სანგრებში გადასვლა.



ნიკ. თუშიშვილს

ჩვენი ქვეყნის თანამშრომელთა კულტურაზე გავსაწყვეტავთ მთავრობის თქვენ განსაკუთრებული მადლობით.

ზოგიერთ ჩვენგანს მწერალთა შორის და აგრეთვე მკითხველების ერთ ჯგუფში გაფრთხილებულია ხშირად, თითქმის წერის „მუშის“ მოსაყვანად კალმისწირვის საჭიროა ალუბოლის მნიშვნელოვანი დროის მიღება, ან ბუნების უღრმეს ან კიდევ მშვენიერი ქალის გარეგნობით გაცაცება.

ჩვენს მუშას ან დასაჭირებია არც ერთი მათგანი.

ჩვენთვის საკმაოდ იყო გაფრთხილებული თქვენდამი დაქვემდებარებული წარმომადგენლის მიერ დაზარალებულ პრინციპებს, რომ ჩვენს გულში მთავრად გაცნობის ფართობი გამოიხატა და მოუხრინილად თქვენთან ნაბიჯის „სამაღლოდელი მართის“ სახით.

ქვეყნის დიდია სისხარული, რომელსაც განიცდის მომხმარებლის გულა. ეგზეტი დიდი, რომ თქვენს მღვს ზღვა მიღწეა იქნეს და ცათა უსაზღვრო სივრცეში დაღაღდად, მაინც ან შეიძლება გამოიხატოს სივრცე და სიდიდე მისი.

როდესაც ამ წერილს ვწერთ ჩვენს, სამუშაო მთავარი ჰედიან ნიშნები თქვენი წარმომადგენლის პრინციპებისა იმავე დროს ჩვენს წინ ბევს მრის საზოგადოებრივ ცილთს სალათა... ეს სალათები შექმნილია თბილისში, კომინტერნის ქარხანა. სადგარობის დიდ პასაჟში და დაზარალებულია თბილისშივე ფაბრიკა „მურავის“ მიერ.

პირველი თვისება, რომელითაც ის ჩვენ „გვადრთობენ“ მისი სტანდარტულია.

ათი დღის განმავლობაში სისტრეფიკად დადიდნენ ჩვენი რედაქციის მიერ გამოცემული მრავალი, რომ ვითვალთ საშუალო ადამიანისათვის გამოხატული ზომის სალათა (და არა მარტო სალათა). მაგრამ ამაღლ! თქვენი წარმომადგენლის მიერ დაზარალებული პრინციპების 50 ნომერს თითქმის არასოდეს ან აღვიწყება და ამრიგად წარმომადგენლს, რომელსაც, ამს. ნივთ, თქვენ უძღვებით, მოქალაქეთა 25 პრინციპი მაინც „კანონგარეშ“ ყვეთ გამოცხადებული.

უდიდესი ზომის ცენსურული (№ 48—50), რომელსაც თქვენ მარტო უმეცხთ, ცამეცა-თითხეცა წლის პიონერს ძლივს მოერგება. რას ფიქრობთ სრულ საკუთარ და თქვენს სამუშაო ცენის მოქალაქეთა შესახებ?

ჩვენი რედაქციის მიერ გამოცემული მრავალი ერთ-ერთმა წევრმა, რომლის ცენსურული ნორმალურ ზედიანის ზომის ან აღვიწყება, შეიარა სრულ საფარობი და ვერსად ვერ იმოვნა მისა ზომის სივრცის ქვედა საფარი.

საუკეთესო მალისაგან შეკრული კოსტუმი, რომელიც პლესანთის გამზირზე № 131-ში ახლად გახსნილ საფარობში ზომის 50-თუ ნომრით იყიდებოდა, ისე პასარა იყო, რომ მარტოს სათავეში სრულ მომხმარებელთა შორის, რომელსაც ის ცენსურული ჩვენი თანამშრომლის თვალწინ გაიხინჯეს, ვერც ერთი ვერ ჩაეცია! იმავე ცენსურული პასარა კი ისე მოკლე იყო, რომ მომხმარებელს წულაძე ძლივს ევლებოდა. მთელი კოსტუმი ცოცხრ დადიანის სცილით იყო შეკრული: იმ განსხვავებით, რომ მისი ჩამცული მურავთა „სტრეფიკის სკლის“ წყალბით ფოტოალური ელქის გმირის ცოცხრ დადიანის ნაცვლად კლდისაშვილის გმირის დაბისპან დაბისპან კარლქანს მოგატონებდა. საუკეთესო შეკრული მრ თეთრ ცილთს სალათს, რომელიც ჩვენმა თანამშრომლებმა შეიძინეს გარდა სხვა სიუთისა, მთხივე სასულთ უკუღმა აქვს მოვარებული.

საბავშვო უნივერსიტეტი (რესთავლის პრინციპი) გამოფენილ მოზრდილთა სალათებს, მივრთხვებით დასანახავი პასარა ფოტოქი აკრია..

ჩვენ გვჯარა, რომ შეიძლება აქ ჩამოთვლილი ფაქტები თქვენდამი დაქვემდებარებული უწყობის მოსაკრების „შემთხვევითი“ შეცდომია, მაგრამ თქვენც უნდა დაიჯროთ, რომ ნახელთს რა ამ „შემთხვევით“ გამოხელ პრინციპის მომხმარებელი, „შემთხვევითავე“ „ქვედიდებდა“ ასსამს მის გამოშვებაში „დასასურებულ“ გმირებს.

მთგწმნთ თუ არა ასეთი „სადაცა“ მდგომარეობა. ამს. ნივთ თქუნიშვილთ?

მიიღეთ და სს.





კითხვა:

ამხ. ნიანგო! როდესაც დიდი მწერლის ილიას „კაცია ადამიანის“ შინაარსს ვიგონებდი, მე განსაკუთრებით გამიტაცა იმ ადვილმა, სადაც ლუარსაბი ბუზებს ითვლის. ამ ადვილის მოგონებამ ჩემში მთელი რიგი საკითხები აღძრა. განსაკუთრებით დამაქევა ერთმა მოვლენამ: ნუ თუ „პატივცემული“ თავადის თვალწინ მართლაც ბუზები იყო მაშინ, როდესაც ის დარეჯანთან სანაძლეოს დებდა? ან ლუარსაბს თუ თვლაში დასჭირდა ვარჯიშობა, დასათვლელ ობიექტად სხვა საგნებსაც მონახავდა. მას შეეძლო ბუზების ნაცვლად სხვა, უფრო ადვილად შესამჩნევი წვრილფეხა საქონელი დაეთვალა. მას შეეძლო დაეთვალა თუნდაც მისი ცხენები, რომელიც ლუარსაბს მისი მათემატიკური „ნიჭის“ გავარჯიშებისათვის საკმარისი რაოდენობით ყავდა. მე განსაკუთრებით მაინტერესებს, — შეიძლებოდა თუ არა, რომ ის ბუზები, რომლებსაც ლუარსაბი სთვლიდა, სინამდვილეში ბუზები კი არა, აქლემები ყოფილიყვნენ? ან შეიძლება თუ არა, ადამიანს აქლემი ბუზად მოეჩვენოს და ბუზი აქლემად?

პასუხი:

შეიძლება, როდესაც ზოგიერთი მომხსენებელი თავის მიღწევებზე ლაპარაკობს, მას ხშირად ბუზი ეჩვენება აქლემად, ხოლო როდესაც საკუთარ ნაკლის მხილებას იწყებს, წინააღმდეგ, აქლემი ბუზად ეჩვენება.

მოხსმარებელი: — არ მინდა! მაგაში ხელიც არ გამეტევა!.. (თავისთვის ტრაგიკულად) ორი თვეა დავდივარ და ჩემი სარგო ხალათი ვერსად მიშოვნია...  
ნოქარი: — ორ თვეს კიდევ იარე; გახლები და მაშინ კუკლასავით მოგერგება.

კვლავცა გავსრესთ...

„მათთვის ძვირად ღირებულ დაღუპულ ჯაშუშთა გამოტირებას, გერმანიისა და იაპონიის პრესაში თან სდევს ყვირილი. „ს. ს. რ. კავშირის სისუსტეზე“, „აჯანყებებზე მოსკოვში“, „რევ-დარე-მაზე წითელ არმიის რიგებში“ („პრამპლა“).  
ერთხელ დილით ჰკითხეს გებელს — როგორა ხარ მადანო?  
ჩაიციან: — მოსკოვში ვარ, ზუსტ დანიშნულ ვადაზეო.  
საქმე ისე გამოვიჩარხე საიმედო „ადვილასო“, რომ ხეალ, ან ზეგ მთელ საბჭოეთს.  
ხელში ვიგდებთ ადვილათო- მაგრამ ხროვა ჯაშუშების გაისრისა, როგორც ჭია. გაისრისა ის ქვე-მძრომი, ვინაც შხამი მოანთხია, ვინც ცბიერად შეუტოცდა მშობელ დედას გულზე გველად, ვინც სამშობლოს უღალატა, გადაიქცა გამყიდველად.

ეს „გესტაპოს“ წიწილები, ტუხაჩევსკი, — შვიდი კიდევ, ხალხის რისხვამ გასრისა და ზიზლის ბოძზე ჩამოჰკიდა. გებელს ჰკითხეს: — გვიპასუხე, რა გაწუხებს, ბრაზობ რათა? ხომ არ გყავდა ტუხაჩევსკი შენაფიცი მეგობრადა?  
— თქვენი საქმე არ მაკვირვებს? ძმაც იყო და სულის დგმაცა. უკეთესი ძმა რათ მინდა, — საიდუმლო საქმე გასცა.  
ვაჰმე, — ვაჰმე ვინ დავკარგე! დაგეშილი, გამოცდილი. ერთგული და თან დამჯერე, გამოზრდილი, როგორც შვილი!  
მოუბრუნდა აქ გებელსი ფაშისტური პრესის ქოფაკთ და უბრძანა: — ყეფეთ, ყეფეთ, ყეფეთ, სანამ ხმა გეყოფათ.

ყეფეთ, რომა ტუხაჩევსკის, კორკს, იაკირს და სხვებს ყველას, ჩვენ ვიცნობდით ესეგერის ქომაგად და ერთგულ მცველად.  
მათი დასჯა ესეგერის დაუსტებას მოასწავებს. მათი დასჯა საშინაო ატმოსფერას გაამწვავებს. მათი დასჯა წითელ ჯარში ამბოხებას გამოიწვევს. იყეფეთ, რომ უკრაინა აჯანყებას უკვე იწყებს. დასწერეთ, რომ ლენინგრადში ქუჩაშია მთელი ხალხი, მოსკოვშიაც, თბილისშიაც, ქუჩაშია და იძახის: რას იძახის? —  
აქ გებელსის ჩვენ შევწყვიტო ბოღვა, დროა. ამ ღალატმა ხალხის რისხვა ერთ ნაკადათ დააგროვა.

ხალხი ერთხმად გაიძახის აღშფოთებით რისხვით სავსე: — სიკვდილი მათ, ზიზლი იმათ, ვინც სამშობლო მტერს გადასცა.  
ჩვენი ხალხის სიმტკიცე და ჩვენი ხალხის მთლიანობა, ჩვენი დიდი სამშობლოს სიყვარულის მტკიცე გრძნობა, უდრეკია ვით ფოლადი და ასკეცად ძლიერია. ძრწოდეს ყველა მოღალატე, ძრწოდეს ის, ვინც ცბიერია.  
შმორით სავსე ჯაშუშთ ხროვა ვით მუწუჭი მოიგლიჯა და გასრისა ერთი მოსმით, ვით მატლი და ვით ბაღლინჯო!  
ხალხი ერთხმად გაიძახის იმედით და რწმენით სავსე: — გავსრესთ ყველა მოღალატეს და უდრეკად წინ, წინ გავსწევთ!  
ხოზიკა.



# ონოფრეს საანგარიშო გონსენება



საქართველო  
საბჭოთაო

ონოფრე, ცოტა არ იყოს, ღელავდა რაც ის ადგილკომის თავმჯდომარეთ იყო, ასე მრავალრიცხოვანი კრება არ მოსწრებია.

— თითქოს ჯამაგირის მიღების დღე იყოს, ყველა მოგროვილა, — ფიქრობდა ის და თვალს ავლებდა დარბაზს.

— ვინ იცის ვის რა უძევს გულში? — ფარული კენჭის ყრაა, ერთიც ვნახოთ და გღურთეს შავი — გაიგებ ვინ ქნა თუ?

მაინც გულს იმშვიდებდა ონოფრე, გამარჯვების იმედს თავის მჭერმეტყველებაზე ამყარებდა.

— საქმე გამოთქმაშია, ისეთ უნდა ჩაუსუჩათხატო, რომ თავსა და ბოლოს ეძებდნენ. არა თვითონვე მთხოვენ უარი არ სთქვა მესტკომად ისევე შენ იყავიო — მარა ჯერ თავი უნდა გამოვიდო, ვახვეწიო და მერე ქე დავთანხმდები.

ზარმა კრების ვახსნა ვახსენა. დარბაზი გაინაბა, ონოფრემ ჯერ მიბნედილად, შემდეგ ომანიანად დაიწყურ:

— ამხანაგებო, ტავარიში, ნაში სეგოდნიში კრება ატკრივაიტცა — პრეზიდიუმი ვიბირაიტე.

— ქართულად, ქართულად გააწყვეტინეს მას.

— ქართული იყოს, ამხანაგებო მე ქართულიც და რუსულიც ერთიანად კარგად მეხერხება. მაშასადამე მე ვაკეთებ დაკლადს ჩვენი მესტკომის მუშაობის შესახებ. ამხანაგებო, თქვენ იცით, თუ რა არის კაპიტალისტური გარემოცვა: ფაშიზმი ევროპაში თარეშობს, მარა მუშათა კლასი თავის სიმხიზლეს ამხეილებს და ყოფას უტირებს კაკაპიტალიზმს. იტალიამ აბისინია ჩაახრჩო, ესე იგი გასრისა, — ასეთია ფაშიზმის ბუნება, აქ საჭიროა ბრძოლა ამხანაგებო.

— ადგილკომის მუშაობაზე გველაპარაკეთ, — გასმა დარბაზში.

— აცალეთ კარგათ ლაპარაკობს, — დასძინეს იქვე.

— დიახ ადგილკომზე მოგახსენებთ, — მარა ვინც თავი ვერ თქვა, იმან ბოლოც ვერ თქვა. სთქვა ონოფრემ და წყალი მოსვა.

— ახლა გადავიდეთ ესპანეთის ამბებზე: თქვენ იცით ამხანაგებო, რომ იქ პირსისხლიანი ფრანკოა, მარა ის მარტო არაა, იმის ხაზინები გერმანია და იტალია და იქინე

ისინი მამაძაღლობენ და მშრომელების სისხლს ღვრიან, უნდათ, რომე ვააღვიონ ომის პაყრები, მარა იგენის ყოფას ატირებს პროლეტარიატი — აქედან დასკვნა ისაა, რომ ჩვენი მესტკომი მთელი სიგრძე-სიგანით მუშაობდა. გვაქვს ბევრი ნაკაპუნები და კულტიტავი ცხოვრების დარგშიც ბევრი ვავაკეთეთ. არ არის ამხანაგებო, ისეთი უბანი, სადაც ჩვენს მესტკომს თავისი მხიზელი ფეხი არ შეედეგას. პუტიოვკები გავეციოთ, ექსკურსიები და ვილაზკები მოვაწყეთ, კოლექტივნი პასეშევიებზე კაი-ძალი თანხები ვავახარჯეთ და სხვა მრავალი და კიდევ მრავალი.

ონოფრემ კვლავ წყალი მოსვა და განაგრძო:



— ისე, რომ, თუ საერთო იტოვს, შევხედავთ ამხანაგებო, უნდა თამამად განვაცხადოთ, რომ ჩვენს ადგილკომს ვაკეთებულე აქვს მრავალი და მრავალი საქმე, მარა თქვენის დახმარებით მომავალში უფრო უნდა ვავაცხოველოთ მუშაობა და სიმხიზლე, რომ ის საქმე, რომელიც რომ საქმე ჩვენ გვაქვს — დავალებული და მივალწიოთ ახალ-ახალ დასტიყენიებს, ამიტომ მოგიწოდებთ სიმხიზლეზე და კიდევ სიმხიზლეზე ამხანაგებო.

ონოფრემ ისეთი მოხდენილობითა და ხმის ბგერით წარმოსთქვა მთელი სიტყვა, რომ დარბაზი მოჯადოებული დარჩა.

— ბეჩა, რას ერჩი? ყველაფერი რიგზე ყოფილა წასხურჩულა ჟენიამ ნადიას.

— კაკონ დუშკა არა ლელი? — უთხრა მემანქანე კლეობატრამ მოლარე ლელის, რომელიც ამ დროს ტუჩებზე საღებავს ისწორებდა.

— მშვენიერი ყმაწვილია ერთობ, მართალია ცოტა ქერაა, მარა უფრო უხდება.

— მართალია, ქერა თმა სიმპატიას მატებს, — სთქვეს და მათ ალერსიანად შეღიმილეს ონოფრეს.

— ესეც ონოფრეს მჭერმეტყველობის შედეგი იყო მელოტ თავზე სულ რაღაც ოციოდე ბუსუსილა შერჩენოდა, მაგრამ მომხიზლავმა სიტყვამ და განსაკუთრებით ღრმა გრამატიკულმა, ტკბილმა ქართულმა ის ქერა კულულებიან ყმაწვილად წარმოუდგინა ქალიშვილებს.

თვით ონოფრეც გრძნობდა, რომ საქმე დამში მოიყვანა, მისი ხელახლა არჩევა ნაღდა.

— არა, უცბად არ დავთანხმდები ჩემს არჩევაზე, უნდა ვახვეწიო ჯერ, — გაიფიქრა მან, მაგრამ კრების თავმჯდომარის სიტყვამ გამოაფხიზლა.

კენჭის ყრამ გადასწყვიტა, რომ კამათი სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ გახსნილიყო.

ამ კომისიის მოხსენებიდანაც გამოირკვა, რომ ყველაფერი „იდეალურად“ ყოფილა ადგილკომში:

— ჩვენ შევამოწმეთ ადგილკომის თანხები და ვსცანით, რომ ვასავალი მშვენიერად ვახლავთ. განსაკუთრებით კულტმომსახურების დარგში ადგილკომს ფართო მუშაობა ჩაუტარებია, როგორც მაგალითად:

ა) დაწესებულების ქალიშვილები მაროჟზე დაუბატეჩნია თერთმეტჯერ.

ბ) ჩვენი ფილიალის ერთ-ერთი თანამშრომელის ცოლისათვის მისი დღეობის გამო გაუგზავნია ყვავილების ბუკეტი.


გ) თავის ბინაში ახალი შპალიერი გაუქრავს;

დ) მოუწყვია შვიდი ამხანაგის (სამი კაცის და ოთხი ქალიშვილის) ექსკურსია ოქროყანაში, — კიტრებით, ხიზილალით, ღვინით, სიტროთი და ჩხუბით, რაც დამჯდარეობას მანეთამდე.

დარბაზში სიცილი.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო საკითხს ადგილკომს ამ ხუთი წლის განმავლობაში მართალია, ყველას სახლში მისვლა ვერ მოუხსურია, მარა მისულა ხუთ ამხანაგისას თი





კრილოვი

მეგობრობდა ორი ძალი, ერთად ქონდათ ჭერი, ბინა, ერთი იყო ნაგაზი და მეორე კი პაწა ფინა.

რა საქმე გაქვს მონდობილი? რას უნდავ და რას უთესავ? ჩემებრ ნახირს ხომ არ იცავ, ან სხვა დოვლათს ხომ არ მწყემსავ?

„ნარჩიტამ მორთო ჭიკჭიკი თავისთვის მყუდრო ადგილას; ეტყობა, კარგ გუნებაზე იყო ამდგარი იმ დილას.

მან უბასუხა? ჩემს ჭიკჭიკს, როგორ შევეკადრებ მზესათ, როცა სხვებს ვხედავ მომღერალს მე ჩემზე უკეთესათ!“

\* \* \*

ფინას ბედმა გაუღიმა, დიდმა კაცმა აიყვანა, გადაუსვა ხელები და სასახლეში წაიყვანა.

— არა! ღმერთმა დამიფაროს! სხვა ხელობა გავიჩინე, საქმის ნაცვლად პატრონის წინ კუდს ალერსით ვაქიციანებ.

მზის ამოსვლამდის ვალობდა, მაშინ კი ჩაიწყვიტა ხმა, მით უფრო, როცა ბულბულის საამო სტვენა მოესმა.

ეს კრილოვისებური არაკი აკაკის ნაქართულები ვწუხვარ ზოგ დამწყებ კალმონებს რომ არ მაგონებს სრულებით.

დრო გავიდა... ერთ ადგილზე ისევ შეხვდა მურას ფინა, მეგობარი მოიკითხა, მასთან ახლო მიიბრინა:

ჩვენშიც ვხვდებით კულქიციანს არ ეტყობა მის კუდს დალა, — აქიციანებს კუდის რიკს და მიიწევა მალლა... მალლა!..

ბუქი მივიდა და ჰკითხა: ჩიტო, რა დაგემართაო, რომ შეკრთი მზის ამოსვლის დროს და ენა ჩავივარდაო?

„უკვდავ თემებზე“ ლაებობენ ატრიალებენ ჯარასა, მცირეს დაძლევის წნოც არ აქვთ ბრიყვსა და მეტიჩარასა.

— შენ როგორ ხარ მეგობარო? — შეეკითხა ფინას მურა: — დიდი კაცი რატომ გწყალობს რისთვის გავიშინაურა?

ასეთებს რომ ცოცხი მოესცხოთ, ვინ შესძახებს: „არ ველევით?!“ გავაძევოთ ფინიები ბედოვლათი მფარველებით.

თოში — დაახლოებით 15 — 20 ჯერ მოუტანია ზოგი თავის და ზოგიც ნათხოვარი პლასტინკები და ყოველთვის ნასიამოვნები წამოუყვანიათ იქიდან (სხვებს).

— ვკითხავდი ადმინისტრაციას, რავაც გადაწყვეტდა, ჩვენც გამოუტყუანდებლით თანამშრომლებს.

— იცი რა ლელი, ეგ შენი ონოფრე თუ რაღაც ჯანდაბა სრულებითაც არ არის ქერა.

სარევიზიო კომისიამ დამტკიცა გასავალი და სცნო, რომ ყველაფერი რიგზეა.

— საწარმოო თათბირების მუშაობაზე რას იტყვიო?

— ქერა კი არა, რიყაა, ნამდვილი რიყა! მალე ისიც აღმოჩნდა, რომ არც რიყა ქოჩორი აქვს, თავმოტვლებილია, დაჯღანული, უშნო, ცუდლუტი, უსაქმური ამ აზრის ბოლო ნაწილს მთელი დარბაზი იზიარებდა.

ერთი სიტყვით, ონოფრეს საქმე „რიგზე“, მიდიოდა, რომ იმ შეჩვენებულ შეკითხვებს ყველაფერი ყირაზე არ დაეყენებინა: სეტყუასავით წამოვიდა შეკითხვები. ონოფრე ჭირის ოფლს იწმენდა და ლულულულებდა.

— თათბირების მუშაობა ცუდათ არ ყოფილა ჩვენთან.


ფარული არჩევნები რომ იწყებოდა. ონოფრემ მიიღო პოზა რომლითაც პირველხანად ჭარი ეთქვა ახალ ადგილკომში გასვლაზე, და მხოლოდ შეხვეწნის შემდეგ დათანხმებულიყო, მაგრამ შემხვეწნელი არავინ სჩანდა.

— სოცშეჯიბრება თუ გაქვთ გაშლილი?

— მაშ კარგი იყო?

— მოდი და ენდევ ეხლა ხალხს, — აბუზლუნდა ის „ბურმარლის მეგობრებზე“, — მხამათ შეერგოთ კულტფონდის ანგარიშში შემწვარი მწვადები. არ ცოდნათ დაფასება.

— არა მაგი ჯერ არ გავგიშლია, მარა პროფდარგში სხვა სამუშაოები ჩესტ-ჩესტად გვაქვს შესრულებული.



ონოფრეს ვაოცება განსაკუთრებით უსაზღვრო იყო შედეგების გამოკვების შემდეგ: შეხვეწნას ვინლა ჩიოდა, ყორანივით რომ არ გაეშავებინათ.

— ურთიერთდამხმარე სალარო რატომ დაკეტო?

— არა ყველაფერი გამოთქმის ბრალია, — ასკვნიდა ის გაწბილებული, — დასურათხატება კარგი უნდა იცოდე კაცმა, რომ ორიოთხად მოაჩვენო, თვარა ვინ დაგიფასებს?

— ფული რაც იყო დავარიგეთ. სალაროს ლიას ხომ არ დავტოვებდით. ამხანაგებო?

— გავიგე, არჩევნები გქონიათ, მოვილოცო გამარჯვება? — ჩასძახა მიმავალ ონოფრეს ნაცნობმა.

— საწევრო ანარიცხებს თუ კრეფდით სისტემატურად?

— სწორედ რომ უნდა მომილოცოთ.

— ვისაც შემოჰქონდა ვიღებდით, ვისაც არა იმის დავალიანების აღრიცხვას ვაწარმოებდით.

— მაშ აურჩევინართ...

— ადგლკომში რამდენი წევრი იყო არჩეული?

— აჰ, — ბევრი მეხვეწეს, მარა რავარც იქნა თავი არ ავარჩევით...

— არჩევით მართალია კრებსას არ აურჩევია მარა ამხანაგებში ვარჩევდით კაი-კაი ბიჭებს — ხან ერთს, ხან მეორეს და ადგილკომის წევრებს ვარჩევდით.

— ასეა, ონოფრე ჩემო, საქმეს კაცს ყოველთვის ღირსეულად დაუფასებენ.

— საბინაო პირობების გაუმჯობესებაში თუ დაეხმარეთ ამხანაგებს?

— ოღონდაც, ოღონდაც; მწარედ დაეთანხმა ონოფრე.

— კალატონი და ღურგალი ადგილკომში არ გვყავდა, თვარა დაეხმარებდით ვისმეს.

— არა, არც კარგი. მათ ადმინისტრაცია იწვევდა და ჩვენც ქე ვესწრებოდით ხანდისხან.

დიდხანს გავრძელებდა შეკითხვები, საიდანაც გამოირკვა, რომ „პროფმუშაობით დატვირთულ“ ონოფრეს არაფერი გაუკეთებია პროფკავშირის დარგში.

დამსწრეთა შორის აღშფოთება იმდენად გაიზარდა, რომ თვით ლელის და კლეობატრას მოსაზრებაც კი შეიცვალა მისი ქერა ქოჩორის შესახებ:





საქრები უფარს, ფრანტობა სწამს გულით.



ლამაზი ცხოვრება მისწონს თავის დღენი



არაშადას დატყვის, აუფრეს უარა-



ამ ცუბლა არ იღლება არც ენა, არც პირი,



საკუთარს სახარებს არ სჯერდება ესა.



გულდინჯია, წინარი, კაცობა — ხურავს უნა



უცხოეთი მუდამ არის მოხაზული.



სიქვა „აა“ და მიიღო მინარითვე ძღვენი.



„ცოლისმწამებლებზე“ გსურთ იმითი შერიო?



და რასაც კი ვაიგონებს უველგან მასზე ყვირის.



— თქვენ გვირდებათ... ნება დამართო, რომ მივარ-  
თვით სესხად...



გზად რომ მიიღოს, მასდევს—ვით კიშტებსა კ



ცნობებს „მეგობრულად“ ჩანაწერდება უარში.  
გასტაპოს რეზოლუცია:  
ნაითვალს რუმორც მორთი სახსარად.



და წამოიროშა საიდუმლო ქრისა.  
გასტაპოს რეზოლუცია:  
ივან კარბოთითი აღიჩინოს ისა.



— აი ნახაზები ძღვეს ავანან გუშინ.  
გასტაპოს რეზოლუცია:  
გადამავანილ იმანს გესაპოს აბივირ...



— ესა უნადა (თუიენი ჩერტეო ბატივიო...)  
გასტაპოს რეზოლუცია:  
სეროგრედ ლიჩი არის მბაივი ბანავაჰითინ.



— აი გვემები ზედ განმარტებაც ერთვის.  
გასტაპოს რეზოლუცია:  
სეროგრედ ლიჩი არის მბაივი ბანავაჰითინ.



და აგენტიც მის დასკვნაში სულაც არა სე  
გასტაპოს რეზოლუცია:  
ის სახეში ვივოლორთ, ჩვენივენი ბაივო





მწერალთა სასახლის შესავალ კარებთან ხშირად ვამჩნევდი ერთ უცნობ მოქალაქეს. გაუბედავად იდგა ეს მოქალაქე კარებთან რამოდენიმე წუთს, შემდეგ ხელს ჩაიქნევდა და მოშორდებოდა სასახლეს.

დამინტერესა ამ უცნობმა და ერთხელ შევეკითხე.

— ამხანაგო, ერთი ეს მითხარი, რატომ გხედავთ ასე ხშირად ამ კარებთან.

— შემამჩნიეთ?

— შეგამჩნიეთ, როგორ არა!.. გაბედით და შედით, რას მორცხვობთ.

— ეჰ ვანა შესვლა ასე ადვილია?

— რატომ ჩემო კარგო. ადვილია, თუ რაიმე გაკავშირებთ მწერლობასთან. იქნებ დამწყები კრიტიკოსი ხართ. შედით თავისუფლად. ხელს გაგიმართავთ, გასწავლით კრიტიკოსობას. ჩვენში ეს საქმე იოლი ამბავია.

— რას ამბობთ, აბა, კრიტიკოსობა რა ჩემი საქმეა?

— მაშ შეიძლება პოეტი ხართ. შედით, წაიკითხეთ თქვენი ნაწარმოები. ხელს შეგიწყობთ. მართალია—პოეტები ბლომად გვყავს, მაგრამ პოეტიც არის და პოეტიც...

— როგორ გეკადრებათ, სადაური პოეტი ვარ?

— იქნება ბელეტრისტი ხართ?

— თქვენ არ მომიკვდით, არაფერი გამეგება ბელეტრისტიზმისა.

— მაშ დრამატურგი იქნებით!

— ხუმრობთ თუ რა...

— არ მესმის, მაშ რა გინდათ ამ სახლთან. აქ მარტო მწერლები ბუდობენ. სხვა ხელობის ხალხს აქ ვერავის ვერ ნახავთ.

— არც მწერალი ვარ და არც ვაპირებ მწერლობას.

— მაშ ვინა ხართ, ან აქ რა გინდათ?

— მე დამკრძალავი ბიუროს გამგე ვარ.

— ბიუროს. ხომ არავინ გარდაიცვალა ამ სასახლეში?

— არა, საუბედუროდ არავინ...

— მაშ რა გინდათ. თუ მწერლების სიკვდილს ელით, არც თუ ასე ხშირად ხდება ეს ამბავი.

— ეხ, ჩემი ამბავი რომ იცოდეთ...

— თქვენ რაღაც დარდი გაწუხებთ, ამხანაგო. გაბედეთ — მითხარით!

— თქვენ მწერალ ქაფიაშვილს იცნობთ?

— ვიცნობ, როგორ არა.

— ჯანზე კარგად არის?

— კბილებით ქვას კნეტავს.

— არავითარი იმედი არ არის, რომ მოკლე დროში გარდაიცვლება?

— მე მგონია არა. თუ რაიმე კატასტროფაში არ მოყვა, ძნელია, რომ მის სიკვდილს შალე მოველოდეთ.

— იქნებ რაიმე ავადმყოფობა სჭირს?

— მე მგონია არაფერი. ერთდერთი მისი ავადმყოფობაა გაუმართლებელი ავანსების გაიმასქნება... ამ სენისაგან განსაკურნავად ეხლა მაგარი წამლებია გამოწერილი და გვგონია აღმოვფხვრით მის სენებას.



— ეხ, ცუდათ არის ჩემი საქმე.

— ამხანაგო, როგორ გამოურკვევლად მელაპარაკებით. მითხარით, რა გაწუხებთ?

— ეხ, რა გამოვა რომ ვითხრათ.

— გაბედეთ, ჩვენ, მწერლები, დაკვირვებული ხალხი ვართ. იქნებ რაიმე გიშველოთ.

— მაშ ვითხრათ ჩემი გაჭირვება?

— მომიყევით. აგერ, ქვაფენილზე ჩამოჯექით, სასახლეში შესვლა გერიდებათ... თქვენი სახელი?

— არჩილი!

— აბა, მომიყევით, არჩილ-ჩემო...

— მე, როგორც მოგესხნებათ, დამკრძალავი ბიუროს გამგე ვარ. ხელობა მაინცდამაინც არც ისე სახარბიელო და სანაქებო, მაგრამ რა ვაწყობა... დაბოლოს მე თუ არა სხვა იქნება ამ ხელობაზე. ვინმე უნდა გაუძღვეს თუ არა ამ საჭირო საქმეს?

— სიმართლეა, არჩილ, სრული სიმართლე.

— მოგახსენებთ... ერთხელ მეზობელთან დამპატიყეს წვეულებაში. დიდი სილამაზით და სიუხვით მოემზადებინა ვახშამი ჩემს მეზობელს. მწერალი ქაფიაშვილი დაეპატიყებინა და, აბა მწერალს სათანადო პატივისცე-

მა უნდა თუ არა? მწერლობა სწორედ გითხრა, მეც მიყვარს და ამიტომ დიდის სიამოვნებით მოუჯექი გვერდით ქაფიაშვილს. მას ჩინებული სმა სცოდნია...

— რეკორდსმენია?..

— თამაღობა უკეთესზე უკეთესი...

— ბადალი არა ჰყავს ჩვენს ქვეყანაში.

— ოხუნჯობა და სიტყვა-პასუხი ლამაზი და მოქნილი.

— სერგია ერისთავი მასთან შედარებით უსუსური ბაღლია.

— წერაც მშვენიერი სცოდნია...

— მაგაზე კი რა მოგახსენო!..

— ეგ კი მერე გავიგე... ეხ... ჰო და, მოგახსენო, გავები მასთან ბაასში. ვაიგო, რომ მე დამკრძალავი ბიუროს გამგე ვარ. მოუშვანა. ამწია დამწია. ასეთი ამბავი აღმოაჩინა ამ ჩემს უმადურ ხელობაში, რომ ჩემს ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დავმობილდით. ვადავკონეთ კიდევ ერთმანეთი. მეტის სიხარულით თვალეზე ცრემლი მოერიდა...

— საჭიროების დროს წატირება მისი საუკეთესი ხერხია...

— მეორე დღეს, როდესაც ჩემ ბიუროში ვსაქმიანობდი, გაიღო კარი და ქაფიაშვილი შემოვიდა. სწორედ ვითხრა მესიამოვნა ასეთი ჩემდამი მისი ყურადღება, როდესაც გავიგე, რომ კუბოს შესაკვეთად კი არ მოსულიყო, არამედ მხოლოდ ჩემს სანახავად. ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქეთურზე. ბოლოს მითხრა — სურვილი მაქვს გავეცნო შენს მოღვაწეობასო. მინდა ავითვისო ბიუროს საქმიანობა. ვინ იცის, შეიძლება დავწერო ბიუროს საქმიანობა. ვინ იცის, შეიძლება დავწერო რაიმე ჩვენი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს დარგის შესახებო. ესეც მესიამოვნა და დამწერილებით დაუეკაყლე ბიუროს მიღწევები და შეცდომები. ავუსენი ვასვენების ხარისხების განსხვავება, გვირგვინების საბაზრო ფასების ტრიალი, კატაფალკების ცხენების ზნე-ჩვეულებანი, ჩვენი მუშაობის რაციონალიზაციის და მექანიზაციის საკითხები—გავაცანი ჩვენი საწარმოო გეგმაც. ვაკვირვებული იყო. რამიტოვებელი შეცდომაა, რომ ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობა აღბეჭდილი არ არის ჩვენს ლიტერატურაშიო... არა თუ პრესაში — საჭიროა დაიწეროს ან სქელ ტანიანი რომანი, ან დიდი პოემა შენს მოღვაწეობის შესახებო... ესეც გამეხარდა. აბა, თქვენ თითონ განსაჯეთ, ვის არ მოენატრება აღბეჭდოს ლიტერატურაში და საუკუნოდ დარჩეს მისი სახელი ისტორიას... შემპირდა — აუცილებლად მოვიმარჯვებ ჩემს ბასრ კალამს შენს შესახებ რაიმეს დასაწერადო. პირველ ხანებში უფრო გახეთში ემჯობინება ნარკვევების მოთავსებაო. ვამომემშვიდობა. წასვლისას სხვათაშორის მითხრა, რომ ნარკვევს დასაწერად



სასაფლაოების გაცნობა დამჭირდება და ამ  
გაცნობას შეიძლება რამდენიმე ხარჯები მოკ-  
ყვესო. ასე ვთქვათ, შემოქმედებითი მივლი-  
ნების ხარჯებიო. ათასი მანეთი მთხოვა ამ  
წვრილმანი ხარჯებისათვის. შეეფიქრიანდი—  
ნუ თუ ასეთი ხარჯები უნდა კუჭის და ვე-  
რის სასაფლაოზე წასვლას, მართალია, ვაკენ  
ახალი სასაფლაო კარგა მოშორებით არის, მაგ-  
რამ ამ მარშრუტით ყოველდღე დამიდის კა-  
ტაფალკები და შეიძლება უფასოდ წამეყვანა.  
ისე მომაჯადოვა იმ დალოცვილმა, რომ ათასი  
მანეთი ჩემი ბიუროს სალაროდან თავისთავად  
ამოძვრა და ქაფიაშვილის ჯიბეში დაბინავდა.

— მაშ ათასი მანეთი აგაძროთ?

— დიახ, ასე გამოდის.

— ცოტათი დაკმაყოფილებულა! ალბათ  
შხედველობაში მიიღო თქვენი ხელმოკლეობა,  
თორემ მეტს წაიღებდა. მერე რა მოხდა?

— მეტი არაფერი... სამი წელიწადია თვა-  
ლის ჩინი გამოშვლია გაზეთების კითხვით,  
მაგრამ მათში მე სასაფლაოების და დამკრძა-  
ლავი ბიუროს შესახებ, სამკლოვიარო განცხა-  
დებათა გარდა ერთი ბჭკარიც ვერაფერი ამო-  
ვიკითხე.

— მგონი რომანის დაწერასაც შეგპირდათ,  
არა?

— რომანის შესახებ შემდგომ გამიცხადა,  
რომ მას უფრო მეტი ხარჯი უნდაო. ხუთი ათ-  
ასი მომთხოვა ქუთაისის... და საფიჩხის სა-  
საფლაოს და მოსკოვის კრემატორიუმის სა-  
ნახავად.

— მერე?

— მერე და მერე...

— ფულს უკან არ გიბრუნებთ?

— თქმა ვერ გაუბედე. ყოველ შეხვედრა-  
ზე ისეთნაირად მხიბლავს რომ მეშინია კიდევ  
არაფერი ამოვიღო ჯიბიდან და მივცე. დიდი  
გიპნოტიური ძალა უნდა ქონდეს.

— პროფესიონალური გიპნოტიზორია!

— ეხ, უნდა ვერიდო. ათასი მანეთი მაშ  
ჩემი ჯიბიდან უნდა ვზღო. რევიზია თავზე  
მადგია.

— ვერაფერი ამბავია. უჩივლეთ სასამართ-  
ლოში?

— თქვენგან არ მივივრის. აბა, სასამართ-  
ლო რას დააკლებს. მოსამართლეებს გიპნო-  
ზით დააძინებს და ვაი თუ ისევ მე დამიდვი-  
ნონ რაიმე სასჯელი... უკანასკნელი საშუა-  
ლება მინდა ვიხმარო ფულის ამოსაგებად.

— ნუ თუ გაქვთ ისეთი საშუალება? გენი-  
ალური ადამიანი ყოფილხართ!


— რა ვიცი, გამოვა რამე?

— აბა მითხარით?

— ქაფიაშვილის სიკვდილს ველი. სწორედ  
იმიტომ დავდივარ ამ თქვენ სასახლეში, რომ  
გავიგო თუ რამე იმედებია მისი სიკვდილისა.

— მისი სიკვდილი რა შუაშია. მკვდარი კა-  
ცისაგან რაღას ამოიგებთ?

— შეიძლება. მისი დამარხვა ალბათ მე და-  
შევალება. შეეცდები, რომ მის ჭირისუფ-  
ლებს სამარხი ხარჯების გაწვევის დროს ჩემი  
ვალე ავანაზღაურებინო.



— რატომ არ იწყებს სიმღერას? უკვე ათი წუთი გავიდა რაც  
ასე უხმოდ დგას: ძვალი ხომ არ გაეხირა?

— ვერ დაიწყებს, სანამ მატარებელი სტვენას არ დაამთავრებს.

— ჩემო არჩილ, იცოდე, ქაფიაშვილი რომ  
მოკვდეს კიდევ, ისეთი კაცია, რომ მაგასაც  
უფასოდ მოახერხებს და შეიძლება ვინმე შე-  
ნისთანა გულუბრიყვილო ადამიანს საიქაოს  
მივლინების ფულიც აატყაოს.

— ეხ, მაშ დამეკარგა ათასი მანეთი?

— გამოეთხოვე სამუდამოდ!

არჩილმა ნალვლიანად შემომხედა, ხელი ჩა-  
იქნია, წელათრევიტ წამოდგა და ნელნელა  
გაემართა ალბათ თავის ბიუროსაკენ.

სად არ გაუმასქნებია ქაფიაშვილს და ზო-  
გიერთს სხვას ავანსები — წისქვილის კომბი-  
ნატში, ჩაის მრეწველობაში, საკონდიტრო  
ქარხანაში, თევზის მრეწველობაში, „წითელ  
ჯვარში“, „მეხშუბაში“, მაგრამ თუ დამკრძა-  
ლავ ბიუროსაც მიადგებოდა კარზე — ამას  
კი არ მოველოდი.

მართლაც რეკორდსმენია ქაფიაშვილი.



(ნამდვილი ამბავი)

ჯერ როგორც წესია, სასამართლოს დარბაზში დიდხანს იცდიდნენ. შემდეგ წესისამებრ ზარი დაირეკა, მერე... სასამართლო გამოვიდა ჩვეულებისამებრ. მოსამართლე ჩითაიშვილმა გამოაცხადა:

- მაძიებელი ევგენია რიჟევსკაია.
- ვარ.
- მოპასუხენი.—კიკნაძე და ფურცელაძე
- ვართ.

— კეთილი და პატიოსანი. მაშასადამე ისეიგი, ასე ვსთქვათ, საქმეს ვიხილავთ. რას ითხოვთ მომჩივანო რიჟევსკაია?

- ალიმენტს ამხ. მოსამართლე!
- ვისგან?
- ვისგან და ამ უგულო კიკნაძისაგან, ეს ბავშვი, რომ შემომამატოვა ხელში, რჩენა არ უნდა?

— უნდა. ჰაი, ჰაი რომ უნდა. მაშასადამე ისე გამოდის, რომ დამნაშავე კიკნაძე ყოფილა და ალიმენტის გადახდა უნდა დაეკისროს ხომ?

- დიახ ასეა.
- კარგი, ფურცელაძეს რაღას უჩივით?
- იმასაც ალიმენტს.
- აჰა, მაშასადამე, მეორე ბავშვიცა გყავთ?

— არა, ამხანაგო მოსამართლე, ორივეს ერთი ბავშვის ალიმენტს უჩივი!

- როგორ, ერთ ბავშვს ორი მამა ჰყავს!
- დიახ ორი — კიკნაძე და ფურცელაძე.
- ახირებული ბავშვი ყოფილა.

— რატომაა ახირებული. იმიტომ, რომ ასე უპატრონოთ მიგვატოვეს, მშიერ-მწყურვა-უპატრონოთ მგვატოვეს, მშიერ-მწყურვალი? ჰგონიათ, რომ ჩვენი კანონი მაგის უფლებას მისცემს, აი ხომ ხედავთ, რომ ვტირი... (რიჟევსკაია თვალებს ისრესს, მაგრამ უცრემლოდ).

**1-ლი მაყურებელი:** — საწყალი დედა, რა თავგანწირული სჩანს, ტანჯვისაგან ცრემლიც კი შეშრობია.

**2-რე მაყურებელი:** — ვითომ მართალი იქნება მაი ამბავი?

**3-მე მაყურებელი:** — მართალია, შვილო, მოწმე ვარ, ჩემს გვერდით ცხოვრობენ — აი ისაა მამა, — (ხელს კიკნაძისკენ იშვერენ).

**4-ხე მაყურებელი:** — რავარც ახლა ვხედავთ, ისთე, ვიცი, რომ ბავშვი იმისია ეგერ, რომ დვას (ხელს ფურცელაძისკენ იშვერენ. ხალხში ჩიჩქოლი და სიცილია, ბავშვი ტირის, ბავშვის დედაც ვითომ ტირის).

**რიჟევსკაია:** — აი შეხედეთ ბავშვს თვალები სულ კიკნაძეს უგავს, თმებიც, ხმაც.

**მოსამართლე:** — ბრალდებულო კიკნაძე, რას იტყვით? ბავშვი თქვენი ყოფილა.


**კიკნაძე:** — სანამ გიპასუხებდეთ, ერთი შეკითხვა მაქვს ამხ. მოსამართლე!

**მოსამართლე:** — ბრძანეთ.

**კიკნაძე:** — ხელის ჩამორთმევით ქალის და ორსულება გაგიგონიათ?

**მოსამართლე:** — ხუმრობთ?

**კიკნაძე:** — ხალას სიმართლეს მოგახსენებთ.



მასწ.: რას სწერდი ჟურნალში! ნიშანს ხომ არ ასწორებდი?  
მღოწაფი: არა — თქვენ მიერ დაშვებულ გრამატიკულ შეცდომებს ამხ. მასწავლებლო!

**მოსამართლე:** — ხელის ჩამორთმევით არ ორსულდებიან.

**კიკნაძე:** — მე მეტი დამოკიდებულება არ მქონია მოქ. რიჟევსკაიასთან, არც ვიცი თუ ბავშვი ყავს.

**მოსამართლე:** — მომჩივანო რიჟევსკაია, მართალს ამბობს კიკნაძე თუ არა?

**რიჟევსკაია:** — არ ვიცი შეიძლება მართალი იყოს, მაშინ ფურცელაძე იქნება დამნაშავე. აბა დააკვირდით ბავშვს თვალების გამომეტყველება სულ ფურცელაძის აქვს.

**მოსამართლე:** — თქვენ წელან ბრძანეთ, რომ თვალები კიკნაძეს უგავსო, ახლა კი ფურცელაძის გამომეტყველება აღმოაჩინეთ!

**რიჟევსკაია:** — მე ვსთქვი, რომ ცალი თვალის გამომეტყველება კიკნაძის აქვს მეტი, მეორე თვალის გამომეტყველება და ხმაც კი ზედგამოჭრილი ფურცელაძისა აქვს.

**მოსამართლე:** — მოპასუხე ფურცელაძე თქვენ რას იტყვით?..

**ფურცელაძე:** — ამხანაგო მოსამართლე, ეგ ქალი ქუჩაში გამაცნეს, ხელიც არ ჩამომირთმევია, გვარიც კარგათ არ მახსოვს, მყავს მოწმეები, არც ბავშვის ამბავი ვიცი, მე მგონია, რომ აქ თაღლითობა უნდა იყოს.

**მე-3 მაყურებელი (რიჟევსკაიას მოწმე):** — უი, უი თვალებო! ტყუის, მე ვხედავდი, ყოველდღე ვხედავდი.

**მე-4 მაყურებელი (რიჟევსკის მოწმე):** — მე დილა-სალამოს ვხედავდი, ბავშვი მაგისია.

**მოსამართლე:** — მომჩივანო რიჟევსკაია, ვინ არის მესამე პირი, რომელსაც უფრო მეტად ჰგავს თქვენი ბავშვი?

**რიჟევსკაია (დაბნევილი):** — ვინ? ამ ბავშვის მამას ამბობთ? ჰო, დიახ, ის სხვა არის, აქ არ გახლავთ. არა მე არ ვუჩივი, მე კიკნაძეს და ფურცელაძეს ვუჩივი.

**მოსამართლე:** — რას უჩივით?

**რიჟევსკაია:** — ალიმენტს.

**მოსამართლე:** — რაში?

**რიჟევსკაია:** — ბავშვში!

**მოსამართლე:** — აკი თქვენ თვითონ ბრძნეთ, რომ ბავშვის მამა აქ არ არისო?

(სასამართლო სათათბიროდ ვადის. მცირე ხნის შემდეგ ბრუნდება და აცხადებს განაჩენს).

**მოსამართლე:** — განიხილა რა... სასამართლო

ადგენს: ბავშვი მიეკუთვნოს ნამდვილ მამას ე. ი. იმ მესამე მოქალაქეს, რომელიც აქ არ გამოცხადდა. კიკნაძე და ფურცელაძე განთავისუფლებულ იქნენ პასუხისმგებლობისაგან ხოლო რიჟევსკაიას... (ხმაურში აღარ ისმის განაჩენის ბოლო, რიჟევსკაიას მოწმეები ჩხუბობენ).

**1-ლი მოწმე:** — აკი ვთქვი, ამ ყმაწვილს ცილს წამებენ თქვა, მე ეგენი არც მინახავს.

**მე-2 მოწმე:** — სირცხვილი თაღლითობისათვის, შენ არ თქვი ვხედავდიო?

**1-ლი მოწმე:** — შენ თქვი შენ, შე აშარო.

**მე-2 მოწმე:** — ვის უბედავ შე შებრტოლო შენა, ესეც შენ (დასცხებს კალათას, ჩაღდება ჩხუბი, მოწმეები ერთმანეთს თმებში წვდებიან, ბავშვი ტირის, რიჟევსკაია წივის, კიკნაძე და ფურცელაძე იცინიან).

**მოსამართლე:** — სასამართლოს სხდომას დახურულად ვაცხადებთ.



# სოლები რომ აბარავენ არ მიდიოდნენ



დადგა ზაფხული. ნეტავი არ დამდგარიყო. არა, სიცოცხლე გაქვს მე ზაფხული მიყვარდეს. მიუშვირე სადამოს გრილ სიოს გაღედილი გული და მიაშურე კულტურისა და დასვენების პარკს. მიღეთის ხალხი ტრიალებს ხეივანებში. თუმცა იტრიალებს აბა სად წავიდეს: პარკში ერთი კინო და თეატრია. ყველა ხომ აქ არ დეტევა? მე მაინც მიყვარს პარკში ხეტიალი. აქ ვინმე გვერდს გაგკრავს, კინკის მიგამტვრევს და ბოდიშსაც არ მოინდის. ჯაზის არეულ ჭყიპინზე თვალმბინაბული მოცეკვავეები ისე ტრიალებენ, გეგონებთ, გული წასვლია და ჩამოსაჯდომ ადგილს ეძებენო, მაგრამ შუა მოედანში სად ნახავენ სკამს. მოედნის ღობეს ძველი მიკიტნები მისდგომიან, მოცეკვავეებს ზანტად აფაღს აყოლებენ და „ამერიკული ძია“-დან აღიღინებენ:

თქვენ ფოქსროტი ნუ გგონიათ შედგვო,  
რას მიქვიან ფეხი ფეხში შედევი.  
მე ამ ცეკვას არ ვაკადრებ ინლაურს,  
ვენაცვალე ჩემს ჯიგრიან კინტაურს...



არა, კარგია, ზაფხული. მიყვარს ზაფხული. მაგრამ ერთი საზრუნავი მაქვს და ის მიშხამავს მთელ სიამოვნებას. სადილზე მოგახსენებთ. რა გემრიელი სადილის გაკეთება შეიძლება ზაფხულში! ახალი ქათამი ქინძიან ტყემაღში! ფკალა ძმრითა და ნიგვზით! მალე პამიდორიც შემოვა და... ნერწყვით მეცემა ბირი. მზეს კარგად არც კი დაუცხუნებია და ცოლი უკვე გაემგზავრა სააგარაკოთ. ექიმმა კატეგორიულად მომთხოვა: ქალი და ბავშვი ახლავე გამეგზავნა სააგარაკოთ.

გავგზავნე. გავგზავნე და დავრჩი უსადილოთ. თქვენ მეტყვიით: რა გაწუხებს? აი კაფე-რესტორნების ტრესტი. ყოველგვარი გემოვნებისთვის აქვს რესტორანი პოეტებისათვის — „ოლიმპია“ ტურისტებისათვის — „კავკასი“, შეყვარებულთათვის — „სიმპატია“. რა სახელის რესტორანი გნებავთ არ იპოვნოთ თბილისში. „უიზნი“, „პალასი“, „ორიანტი“, „მოსკვა“, „გემო“... სწორედ ამ გემოს ვეძებ მეც, მაგრამ, სამწუხაროდ ვპოულობ გემოს წინწყლებში. სახელები ნაირნაირი აქვს ჩვენს რესტორნებს, სამაგიეროდ საკმელი ყველგან ერთგვარად უგემური კეთდება.

არ დავსახელებ რესტორანს. თქვენც ალბათ ჩემებრ დადიხართ ოთხ საათზე სადილის საძებნელად და ასეთ სურათს ხედავთ ყველგან.

- რა გაქვთ, მეგობარო, საკმელი?
- რაც გნებავთ, ბატონო! სად წვიდე ბიჭო კარტიჩკა? — მიუბრუნდა არსენა მეორე ოფიციატს.
- კოწიამ წამართვა კაცო, მეორე უნდა გავაკეთებინო...
- ვოტ დურაქი! კაცო შენი გოგოს სურათს კი არ გეკითხები, აქანე საქმელების კარტიჩკა იღებ...
- ხოო, მენუ? აგერ, კაცო, სტოლზე...
- ა, ბატონო, აარჩიეთ. შნი გნებავთ სვეეი კამბუსტა, თუ ბორში პო ფლოტკი?
- რომელი სჯობია, შენ უფრო გეცოდინება...
- სულ ერთია მაი, ბატონო. რუსულად ქვია სხვადასხვა სახელი, თვარა ჩვენი პოვარი მაგას ერთნაირად აკეთებს.
- როგორც იქნა მოვრჩი პირველ თავს და დავიწყე მეორეს ძებნა.
- მეორეთ რა გვამოთ, არსენ!!
- რაც სწერია კარტიჩკაში, ყველაფერი! ბატონო: შნიცელ რუბლენი, შნიცელ პოვარსკი, შნიცელ კურინი, სალიანკა პოვარსკი, სალიანკა კულინერ, ანტრიკოტ პოპოლსკი, მაზგი ფრიტ...

- ბულაბა არ გაქვით...
- კი, ბატონო, მარა არ გირჩევ...
- რატომ კარგი ბულაბა დიდებულია...
- სიცოცხლე გაქვს კარგი ბულაბა კარგი იყოს... მარა ორი დღეა არავის მოუთხოვია და პატარა მეძველება...
- სხვა რა გაქვით?
- კატლეტები, ბატონო! კატლეტი ნატურალ, კატლეტი გაშე, დევალა, პოჯარსკი, ლამბურსკი...
- რომელი სჯობია?
- ბატონო, მაგას ფასი აქვს სხვადასხვანაირი, თვარა ისე ერთნაირია ყველა, უბრალო კატლეტია, იმერული...
- აბა რას სწერთ ამდენ სახელებს მენიუში!
- მაი ისეა დაწერილი, თვარა მაგდენი საკმლის გაკეთება რა იცის ჩვენმა პოვარმა!
- მოვითხოვე კატლეტი. გვამ, მაგრამ ისეთი უგემურია რომ...
- რაა, არსენა, რა უგემურია ეს კატლეტი?
- კი, ბატონო, კი. საშინელი უგემურია. აბა ჩვენებურ ჩახოხბილს კი არ შეედრება. ვინცამ მაი მეიგონა, არ ქონია გემო პირში.
- კაცო, კატლეტი საერთოდ საუცხოვოა, მაგრამ ეს თქვენი კატლეტი არ ვარგა...
- ლიმონათი დააყოლე, ბატონო, ლიმონათი, ცოტა პირს გაგიკეთებს. ის იყო ლუქმის გადაყლაპვის ვაპირებდი და უცბად ყელში ძვალი გამეკვება.
- რაა, კაცო, დანაყოლ კატლეტში რა უნდა ძვალს?
- ძვალია, ბატონო? უ, ავაშენათ ღმერთმა... აგერ ერთი პოქალიძე მოტკიცებდა თქვენი კატლეტი ცარიელი შავი პურიით... ხორცის კატლეტი, რომ არ იყოს რა უნდოდა შით ძვალს?..



არსენამ ძვალი მეზობელ სუფრასთან მჯდომს მიუბრუნებინა, როგორც დასამტკიცებელი საბუთი. მე კი ოფიციატის რჩევა შევასრულე, უგემურ კატლეტს ლიმონათი დავაყოლე პირის გასაკეთებლად.

- არსენ, ანგარიში!
- კი ბატონო! ბორში - 2 მ. 25 კ. ლიმონათი - 80 კაპ. კატლეტი... - რომელი კატლეტი ვიანგარიშო ბატონო? გაშე ღირს სამი მანეთი, ლამბურსკი - 3 მ. 10 კაპ. პაუარსკი - 6 მან.
- რის პაუარსკი, კაცო?
- კაი, ბატონო, საშვალოს ვიანგარიშებ. 6 და 3 იქნება ცხრა, სამი ც-თორმეტი, გავყოთ სამათ - ოთხი. კატლეტი 4 მან. 10 კაპ. პური 1 მ. 70 კაპ.
- პური ჩემი იყო...
- მაშინ 1 მ. 20 კ. სულ 11 მანეთი და შვიდი შაური.
- მხოლოდ ქუჩაში ვიანგარიშე, რომ სინამდვილეში უგემური სადილი 6 მან. და 5 კაპ. ღირდა.
- აი რა არის ზაფხულში.
- რა კარგია გაზაფხული, ოჯახის წევრები, რომ აგარაკზე არ მიდიოდნენ.

გრ. ბათომელი.





უცნაური სიზმარი ნახა პირველი რაიონის საორთქლმავლო განყოფილების (სამტრედიის) ანგარანის გამგემ ღიომილედ შარაშენიძემ. ნახა ვითომც მის მიერ განყოფილების მუშა-მოსამსახურეების უპატრონოდ მიტოვებულ შრომის სიებს აჯანყება მოეწყობოთ. როდესაც მეორეს პირადი მაგიდის გამგე ვერა სამუშაოდ მოვიდა და, ღიომილემ თავის სიზმარი უამბო, პირადი მაგიდის გამგემ გულ-დამშვიდებულად უთხრა:

— ბატონო ბიძა ღიომილედო მაგ სიზმარი კი არა ცხადია; შრომის სიები ნახევეარი აღარ არიან. ღიომილედ ამის შემდეგ ხშირად იძინებს, რომ ეს უცნაური სიზმარი შესცვალოს, მაგრამ მის და საუბედუროდ ცხადად წარმოადგენილი სიზმარი ისევ ისევ რჩება.

მიზეზი

დაზარალებულმა მეეზოვემ სირანუშ მანუკიანმა (პლენანოვის პრ. №146) სტალინის რაიონის მილიციის განყოფილებას ჩააბარა ქურდი, რომელიც მაშინვე გაანთავისუფლეს.

ნახ. მ. ღაუშვილისა.



ქურდი (თანამოსაქმეს): — როგორც ვატყობ შენც ჩემსავით საუცხოოდ გრძნობ თავს: სტალინის რაიონის მილიციის განყოფილებიდან ხომ არ დაბრუნებულხარ?

ტყბულის ბანკის თანამშრომლებმა: დ. ქარქაშაძემ, მ. გუბეფარაძემ გაფლანგეს 132 ათასი მანეთი. ქარქაშაძე და გუბელაძე გაიქცნენ, მაგრამ ერთი თვის წინათ იქნენ დაბატიმრებულინი. ამჟამად ბანკის დირექტორი ყუფარაძეც დაბატიმრებულია.

მუნ გაიპარა მათე ქორის ორეკლიან გზებზე იწყეს პორტინა და ყუფარაძე, ორფეხა ღორი დარჩა საბრალო ღონკნობტივით.

აღარ მღეროდა დავითი სოლოს უიმედობამ გააგულისა და ყველაფერი დასრულდა ბოლოს ვით „ტრაგედია“, ცხრა ქალწულისა.

ტყბულის ბანკში მოხდნენ ისინი მაკარ, დათიკო, მესამე ღავით, ფულების მიმართ იწყეს სისინი არ მოისვენეს დღითა და ღამით.

ბედი უკუღმა დაბრუნდა ისევ მოძებნეს, ჩასვეს, ძალთა-კრებულო და ყუფარაძეც „გასკანჩეს“ მყისვე ფულების მიმართ ამბოხებული.

რა მიაღწიეს კვაჭებმა შედეგს, თვალთმაქცობაზე არ თქვეს უარი; დიდი ბჭობის და კამათის შემდეგ შესდგა ქალების რეპერტუარი.

— ფუი, რა ვუთხრა მე ჩვენს ბედს ცივანს, გიცი, დაგვიცინის მთელი ტყბული, დარდი და ცრემლი „მოგვანთობს შიგან“ ვით ანთეოსი „ცად აზიდული“.

არ გაიმრგავლოს ფაშვი ვაშლივით, მაშ ყუფარაძე რაღა კაცი. და ოთახებში იყო გაშლილი შამპანიურთა დემონსტრაცია.

სტყვით, რა გაჯავრებთ „შემწეა ღმერთი“ ანგელოზებიც თქვენთან არიან, უფასოდ მოგცეს ოთახი ერთი, გასაღები კი, სხვას აბარია.

ცხოვრობდნენ ტკბილად ალაღ-ქურდობით, ანგარიშების მიღებ-მოღებით. ცუდლუტობით და მელაკუდობით ეგროპულ სტილზე დადგეს ოღები.

თუშელი.

ჩხარელი ენთუზიასტი

(სცენა სინამდვილიდან)

(სცენა წარმოადგენს ჩხარის რაისაგზაო ინჟინრის დ. უკლებას ოთახს).  
უკლება (თავისთვის) — უკვე ოთხი დღეა, რაც ახალი გამგე დანიშნეს და გზები კი ისევ ცუდ მდგომარეობაშია... გეგმის შესრულება სულ რაღაც ათიოდე პროცენტს ძლივს აღწევს. აბა რაღა ეგონათ ანასტინი მაგათ საქმეს... დამაფასებენ თუ არა აწი?! ასე იცის ჯაყომბა... არა, კი მარა რაღა არ გასკდება კაცი ეხლა კიბზე. პატიოსნათ ფყავი ინჟინრათ და გამგეთაც. არავინ ხელს არ მიშლიდა, არავის არ ვედავებოდი... ვიყავი ჩემთვის სკუჩხნათ კაბინეტში და უცბათ კი არ აურდაურავს ყველაფერი?!.. ეხლა მოდეს და ირიკავონ...  
გულწინა საგზაო მშენებლობის აგიტბრივადამ დიძიხა ტელეფონით, რომ დღეს აქ იქნებიან. თვითონ გამგე სახლში წაბრძანდა და მე რა მენადვლება?! თუ ღმერთი შემეწეა და დილადაც არ მოვიდენ მერე მე ქე ვცვითავ თავს თბილისში და მაგენიც კი მოდგენ და იამან ზაქარაის სიდერბეგით სოფელ-სოფელ... ეხ, რა საცოლო ბიჭი ვიკარგები ამ რაიონში?.. (კარებზე არაკუნებენ) მობრძანდით! (შემოდინან საგზაო მშენებლობის აგიტბრივადის წევრები).

პრივადის ხელმძღვ. — ამხ. უკლება. რომელ სოფსაბჭოში მივიდვართ ეხლა მუშაობის ჩასატარებლად?

უკლება (დიხანს ფიქრობს) — რომელ სოფ. საბჭოში... რომელ სოფ. საბჭოში...  
პრ. ხელმძღვ. — როგორ, ეხლა ფიქრობთ თუ?! იქნება არც ერთ სოფსაბჭოში არ ჩაგიტარებიათ წინასწარი მუშაობა, რომ ჩვენმა მისვლამ სათანადო გამოხმაურება ჰპოვოს ფართო მასებში?!

უკლება — არა. როგორ არ ჩაგიტარებია, მაგრამ ვფიქრობდით იქნებ შემთხვევა მოხდეს და არ მოვიდენ, მაშინ ხო ტყუილად ჩაგვივლის შრომათქო... ვინაიდან თქვენც კარგად მოგვსენებათ, რომ ცხენით სიარული მაინც და მაინც სახარბილო არ არი... სიტყვამ მოიტანა და უნდა მოგახსენოთ, რომ ამას წინად მეც ძალა უნებურად მომიხდა ცხენზე ჯდომა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „არა შეჯდა ცხენი ხესა, რადგან ზედ ვერ ავიდაო“. ამით ვიყავი გულდამშვიდებული რომ მოვევლე ცხენს ზურგზე, თავი ტარიელს შევადარე (მომაკონდა კინოსურათი ქაჯეთი), რომ ის მგლისგან დასაწიყნი ერთი გაშპა ციბაძის მოხვერებით და შენ დეიკავებ თუ? მე შენ გეტყვი ი გზებს გეყარა ჰა! არ შეგკამოს ჭირმა... გადაგლიჯინდა ვენახებში, ყანებში,

ღელვებში და მიჭქრის და მიჭქრის... კაი ვაუკაცი კი ვარ ბატონებო, მაგრამ შიშით ისე დავატარავდი ნემსის ყურწში გაფცვრბოდი... ხუმრობა ხომ არ იყო ამხელა ცხენმა მომიტაცა ბამბის ქულასავით?! გყვირი, უიმე დედაც, მიშველეთ მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... ხალხი ისე დაფთხა, რომ ერთი კეკალი კაცი არ გამოჩნდა... ბოლოს ერთ თხრილზე გადახტა თითონ ისევ გაქროლდა და მე კი ამხელა უშველებელ ხრამში გავადინე ხლეწა... მოცვივდნენ ბოლოს მეკითხებოდენ რა დაგემართაო... მეც იხტიბარს რაღა გავიტენდო, საცოლო ბიჭი ვარ და თუმცა დაბეჭილი ვიყავ, მაინც დამშვიდებულად უბასუხე: არა უშავს რა პალტო გადმომივარდა და ვინაიდან მეც შიგ ვიყავი გახვეული თან გადმოვყვევი მეთქი... ხო და იმას მოგახსენებდით რომ ფრთები ქონებოდა, იმ პატიოსან ცხენებში გამოწყვეტილს არა თუ ხეზე შეჯდებოდა, არამედ ზეცაშიც ამიყვანდა.

პრივ. ხელმძღვ. — ამხ. უკლება! თქვენც დღეს ლაპარაკის ხასიათზედ ხართ და ჩვენთვის კი დრო ძვირფასია... აბა მოდიხართ თუ არა სოფ. საბჭოში? უკლება — ამხ. ხელმძღვანელო გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი: მე ეხლა საგზაო განყ. გამგეთ აღარა ვარ და მხოლოდ რაიონინჟინერი ვარ და თუ სახლში დაგხვდით ეს ჩემი უსპეტაკესი პატიოსნობით მომივიდა.

მეორე: ახალი გამგე თითონ თავის სოფელში გაემგზავრა. მესამე: სრული პასუხისმგებლობა საგზაო მშენებლობის საკითხებზე ეხლა მართა გამგემ უნდა იკისროს, მეოთხე: ხუთ კილომეტრ მანძილს ფეხით თავდაღმა რომ დამკიდოთ, მაინც ვერ გავივლი, მეხუთე: ეხლა საღამოა და რომ დალაშქრება უკან რაღათი წამოვიდე, შიშით ხომ გულთ გამისკდა ღამეში. მეექვსე: მე...

პრივ. ხელმძღვ. — მშვიდობით! უთქვენოდაც გაგაკეთებთ საქმეს (გადიან). უკლება (გამოეკიდება) — ჰა! მოიცათ ყმაწვილებო, რა გეწყინათ. ჯანდაბან ჩემი თავი, წამოვალ, რაც იქნება იქნება (მირბის, თან გზაში გაღსტუკს ისწორებს) (თავისთვის) ეხ! რა ბროწეულივით საცოლო ბიჭი ვიღუპები?!.. (გადის).

წაუფლო-



(სამტრედია)


თავადე — ჩვენი ფინგანი,  
ჩალაც უცნობი თავია.  
ზან უმურია და ხან კი  
მხესავით სანახავია.  
თუ გაიგონა ქალის ხმა,  
ამომავალი მთვარეა.

რაიკავშირში ირღვევა  
ხედავთ, ვაჭრობის წესები.  
წუნში საღის ფასს ვილევით  
ხანდახან ამოკენსებით.  
აქ სანატრელი გაგვიხდა  
ქინძისთავი და ნემსებიც.  
თუ კი მოვიდა ოდესმე,  
როგორც კალია ვესვებით...  
ტულუშ-მხეიძევე, გვარგუნეთ  
საქმენი უკეთესები.

ძმაო, რა ხათა გაგვიხდა,  
ეს აღმასკომის ბაზარი,  
ვახედავ, ტალახ-წუმპეში  
არა სჩანს კიდევ-საზღვარი.

კლუბი გვაქვს, მერე რა კლუბი?  
ვე თვალს არ ენახება.  
ვამგე ზის — შალამბერიძე  
გადაქეული მთქნარებათ.  
ერთი წრეც აღარ არსებობს  
წამლად რომ გასურდეს ხმარება  
და საწყალს უჭირისუფლოდ  
შოელის დასამარება.

ქაენელი ზვიკო.



— თქვენი ეროვნება?  
— ებრაელი.  
— შენი გვარი?

### აგმოსუქროს საიღუმელოებანი

დასაფასებელი და უთუოდ პატივისცემის ღირსია იმისი შრომა და ამაგი, ვინც დროის მზომი აპარატი — საათი გამოიგონა. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც, დიდ პატივს სცემენ საათს. ამას ის ამბავიც ადასტურებს, რომ იგი ინსტიტუტში კედელზე მრავალ ალაგას არის დაკიდული. ინსტიტუტის საათებს ერთი რამ ახასიათებთ: საათის მაჩვენებელი ისრის მიერ წრის ერთჯერ შემოვლას, წუთის ისრის თორმეტჯერ შემოვლა კი არ ჭირდება, არამედ მისთვის საკმარისია, რომ წუთის ისარმა მხოლოდ ათჯერ შემოიაროს წრე.  
სხვათა შორის ინსტიტუტის ხელმძღვანელები ამას იმით ხსნიან, რომ სახელწოდება ამ დროის მზომი აპარატისა ასეთიაო. საათი ნიშნავს სა-ათე-სო, ესე იგი მათის აზრით ციფერბლატი 12 ნაწილად კი არ უნდა იყოს დაყოფილი, არამედ ათ ნაწილად, დღელამეში 24 საათის ნაცვლად 20 საათი უნდა იყოს. ასეთია ფილოლოგიური კვლევა-ძიების შედეგი ინსტიტუტში.  
ინსტიტუტის საათები ერთმანეთს არ ეთანხმებიან მუშაობაში. თუ შენობის პირველ სართულში ისრები 9 საათს აჩვენებენ, მეორე სართულში საათის ისრები 9 საათსა და 10 წუთს აჩვენებენ. ამ მდგომარეობის ასახსნელად ბევ-

რი იმტვრის თავი ინსტიტუტში და ბოლოს, რომელიღაც ფიზიკოსი სტუდენტის თუ ლექტორის დასკვნას დაუჯერეს: მიზეზი ის არის, რომ ატმოსფერო შენობის ზედა სართულში ქვედა სართულის ატმოსფეროსაგან განსხვავდება. ზედა სართულში წნევა ატმოსფეროსი უფრო ნაკლებია და ამიტომ საათის ისრებიც უფრო თავისუფლად, ჩქარ-ჩქარა მოძრაობენო.  
რამდენად მართალია ეს აზრი, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში უმჯობესად ექვის ქვეშ დასაყენებელი მოძრაობაა. ის კი ცხადია, რომ სტუდენტები ამ არეულ-დარეული მუშაობის გამო, დროის ზუსტად გაგებას ვერ ახერხებენ.  
ასე, რომ აქ დიდი მათემატიკური ფორმულებია საჭირო დროის ზუსტად გასაგებად, ძნელი ფორმულები.  
მაგრამ ყველაზე უფრო იოლი და ხელსაყრელი ფორმულა შენ გვაუთენის ამხ. ნიანგო: ეს არის შენი ინტერვალივით მოღუნული კუდისა და ინსტიტუტის სასადილოში არსებული ჩანგლების ოდენა ჩანგლის ამოცობა ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილისათვის.

დინცხალი.

### გახსენება (ნიანგი ა. კ. რკ. გზ. სამმართველოში).



— ხომ ხედავთ, რომ ბათომ-კელასურის მიმართულებით ვაგონები ხალხს ვეღარ იტევენ! სად არიან თქვენი „საჭიროებისდამიხედვით“ დანიშნული მატარებლები?

### გოღორი

ზოთას (აქვე) მარტო სახელი არ კმარა ჩვენს ჟურნალში ლექსების მოსათავსებლად. თქვენი დაჟინების შედეგად მაინც ვაქვეყნებთ თქვენი ლექსიდან ამოღებულ თქვენს მოწოდებას:

ჩემი გული ღელავს,  
იდაგება, შფოთავს;  
შეიბრალებთ ყველამ  
ილუზიძე შოთა.

ორმხტის (ზუგდიდი) ვერ გამოვარკვიეთ, თქვენს მუზაზე ზაფხულის სიცხეს უფრო მეტი გავლენა მოუხდენია, თუ „თქვენს ნუნუკოს“, რომელსაც თქვენ ასეთ ლექსს უძღვნით:

### ჩემს ნუნუკოს

უშენოდ რომ ვიწვები  
ეს არ გინდა მაკმარო,  
მიბასუნე ჩიტუნავ,  
რამდენი გყავს საქმარო?

მეც ხომ ერთი მათგან  
ვიყავ, შენით ნაქები,  
პირალმასა გოგო ხარ  
და მიტომ ვიდაგები.


შენ კი სხვა დანიშნულზე  
გათხოვებას აპირობ,  
ნუ დამტანჯე, ნუ დამწვი,  
ხვანი გოლუაფირო.



# საფუძვლიანი გაფრთხილება

კალინინის ქუჩაზე (თბილისი) წვიმიან დღეებში გაუვალი ტბები დგება.

ნან. დონის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



გაუაჟი: — რას შვებო! თავს სომ არ იხრჩობ?! შენ კო არა, მე ვერ ვახერხებ უნავოდ ამ ქუჩის ერთი კილიდან მეორეზე გადასვლას.

რედაქტორის მაგიერ: ს. ბაჩიანიძე.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5.

ბოლიგრადკომბინატი, ჟორჯის ქ. № 5.

შეკვეთა № 837. მთავლიტი. რწმ. № 31102.